

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება № 18

2004 წლის 17 აგვისტო

ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს
შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის,
უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის კანონის 29-ე და 30-ე მუხლების შესაბამისად აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობა ა დ გ ე ნ ს:

1. შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება-საარქივო სამმართველო.

2. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულების-საარქივო სამმართველოს დებულება.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება საარქივო სამმართველოს საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა
განისაზღვროს 76 (სამოცდათექვსმეტი), მათ შორის სამმართველოს საჯარო
მოსამსახურეთა რიცხოვნობა 61 (სამოცდაერთი) საშტატო ერთეულით.

(აჭარის არ მთავრობის 2009 წლის 16 იანვრის №4 დადგენილება)

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს “ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
საარქივო სამმართველოს უფლებამოსილების განსაზღვრისა და სამმართველოს
საქმიანობის დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ” აჭარის
ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 2004 წლის 16 ივნისის № 53
დადგენილება.

5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე

ცვლილებები შეტანილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის №113 დადგენილებითა, 2008 წლის 6 მარტის №12 და 26 ნოემბრის №51 დადგენილებით, 2009 წლის 16 იანვრის №4 და 3 თებერვლის №9 დადგენილებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – საარქივო სამმართველოს დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივოსამმართველო (შემდგომში სამმართველო) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სისტემაში შემავალი დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საარქივო საქმის მართვას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

2.სამმართველო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებით, ამ დებულებით და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

3. სამმართველო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

4.სამმართველოს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხაზინაში, ბეჭედი და ბლანკი საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით, საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით.

(აჭარის არ მთავრობის 2008 წლის 26 ნოემბერი № 51 დადგენილება)

5. სამმართველო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო არქივების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტის წინაშე.

(აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის № 113 დადგენილება)

6. სამმართველოს იურიდიული მისამართია ქ.ბათუმი, გორგასალის ქ. № 126.

მუხლი 2. სამმართველოს ამოცანები და ფუნქციები.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამმართველო

ა) “აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ” საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და “ ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული საარქივო ფონდის (შემდგომში-საარქივო ფონდი) შექმნა-შევსებას, დაცვას, კონსერვაციას, სადაზღვევო ფონდის შექმნას, დოკუმენტების ცენტრალიზებულ აღრიცხვას, აღწერას, აგრეთვე დოკუმენტების ხელმისაწვდომობას კანონით დედგენილი წესითა და დადგენილ ფარგლებში.

ბ) კოორდინაციას უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებისა და სხვადასხვა დაწესებულებების მიერ საარქივო საქმის ორგანიზაციასა და დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში საქმისწარმოების წესების დაცვას, ახორციელებს საქმისწარმოებისა და დოკუმენტაციის უნიფიცირებული სისტემების განვითარებას.

ვ) აკონტროლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის არქივებში დოკუმენტების გადაცემის დადგენილი წესის დაცვას, უზრუნველყოფს საარქივო ფონდის შევსებას დოკუმენტებით, რომლებიც წარმოიშობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მართველობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პოლიტიკური, კონფენსიური გაერთიანებისა და სხვა იურიდიული პირების საქმიანობის პროცესში, ორგანიზაციას უწევს მოქალაქეთა საკუთრებაში არსებული დოკუმენტების შექმნას.

დ) განიხილავს და ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით წყვეტს ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში დოკუმენტების ერთი სახელმწიფო არქივიდან მეორეში გადაცემის საკითხებს კანონით დადგენილი წესით გასცემს ნებართვას საარქივო ფონდის დოკუმენტების ასლების გატანის თაობაზე.

ე) გასცემს ნებართვას ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძველი დოკუმენტური ძეგლების მოძიებასა და შეგროვებაზე.

ვ) ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ კუთვნილი დოკუმენტების გაყიდვის შემთხვევაში, სარგებლობს მათი შესყიდვის უპირატესი უფლებით კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზ) ორგანიზაციას უწევს დოკუმენტების შენახვის ოპტიმალური პირობების შექმნას და მათი ფიზიკურ-ქიმიური დაცვის უზრუნველყოფას.

თ) აწარმოებს საარქივო ფონდის დოკუმენტთა ცენტრალიზებულ აღრიცხვას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

(აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის № 113 დადგენილება)

ი) ამზადებს საინიციატივო ინფორმაციებს საარქივო ფონდის დოკუმენტების აქტუალურ პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, სამეურნეო, სამეცნიერო და სოციალურ-კულტურული მიზნებისათვის გამოსაყენებლად, აწვობს სახელმწიფო არქივებში დაცული დოკუმენტების თემატურ გამოფენას.

კ) დადგენილი წესით აქვეყნებს საარქივო ფონდის დოკუმენტებს, სამეცნიერო-საინფორმაციო ლიტერატურას სახელმწიფო არქივებში დაცული დოკუმენტების შემადგენლობისა და შიონაარსის შესახებ.

ლ) ხელმძღვანელობს სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-კვლევით და მეთოდურ მუშაობას. შეიმუშავებს ღონისძიებებს საარქივო საქმის პრაქტიკაში მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის.

მ) შეიმუშავებს პერსპექტიულ მიზნობრივ პროგრამებსა და მიმდინარე გეგმებს ავტონომიური რესპუბლიკაში საარქივო საქმის განვითარების საკითხებზე.

ნ) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო არქივების ქსელისა და სტრუქტურის სრულყოფისათვის.

ო) შეიმუშავებს წინადადებებს კადრების მომზადების, შერჩევისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე.

პ) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით სამმართველოსათვის დაკისრებულ სხვა ფუნქციებსა და ამოცანებს.

მუხლი 3. სამმართველოს კომპეტენცია

სამმართველოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლება აქვს

ა) მიიღოს საჭირო ინფორმაცია საარქივო ფონდის დოკუმენტების შემქმნელებისა და მფლობელებისაგან დოკუმენტების შენახვის პირობების დაცვის, დოკუმენტების დაკარგვის, დაზიანების ან ადგილსამყოფელის

შეცვლისა და მათთან მუშაობის ორგანიზაციის და სხვა საკითხთა შესახებ, აგრეთვე საჭირო ცნობები, საარქივო ფონდის დოკუმენტების ცენტრალიზებული აღრიცხვის მიზნით.

ბ) აღძრას სარჩელი სასამართლოში საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვისა და დაცვის წესების განზრახ დარღვევის შემთხვევაში.

გ) მიიღოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, აგრეთვე სხვა სახელმწიფო უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოებისაგან აუცილებელი ცნობები დოკუმენტების ორგანიზაციისა და საუწყებო არქივების მუშაობის შესახებ.

დ) შექმნას საუწყებოთა შიორისო კომისიები საარქივო საქმისა და საქმის წარმოების დოკუმენტთა ორგანიზაციის საკითხების განსახილველად.

ე) გაუწიოს მეთოდური ხელმძღვანელობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებს, სხვადასხვა დაწესებულებებსა და უწყებებს საარქივო საქმისა და დოკუმენტების წარმოების საკითხებზე სათანადო წესების, ინსტრუქციებისა და სასწავლო პროგრამების შემუშავებაში.

(აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის №113 დადგენილება)

ვ) მოაწიოს კონკურსები ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით საუკეთესო არქივისტის გამოსავლენად, დააწიოს შესაბამისი პრემია, შეიმუშაოს და დაამტკიცოს კონკურსის მოწიობისა და პრემიის მინიჭების დებულება.

ზ) განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებები

მუხლი 4. სამმართველოს ხელმძღვანელობა

1. სამმართველოს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

2. სამმართველოს უფროსს ჰყავს სამი მოადგილე, რომელსაც სამმართველოს უფროსის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

(აჭარის არ. მთავრობის 2009 წლის 16 იანვრის №4 დადგენილება)

3. სამმართველოს უფროსი

ა) წარმოადგენს საარქივო სამმართველოს

ბ) ხელმძღვანელობს და წარმართავს საარქივო სამმართველოს საქმიანობას

გ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესრულებაზე სამსახურის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროში.

დ) უზრუნველყოფს საარქივო სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კონტროლს.

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საარქივო სამმართველოსა და ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეებს (გარდა მოადგილეებისა), მათ მიმართ იყენებს წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომებს.

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს - ბრძანებას.

ზ) მთავრობას წარუდგენს შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტებს საარქივო ფონდის განვითარებისა და სამმართველოს

საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების თაობაზე. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში დებს ხელშეკრულებებსა და კონტრაქტებს.

თ) ახორციელებს კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. სამმართველოს უფროსის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას სამმართველოს უფროსის მოვალეობას ასრულებს მისი ერთ-ერთი მოადგილე.

5. სამმართველოს უფროსის მოადგილეები სამმართველოს უფროსის დავალებით კოორდინაციას უწევენ საარქივო სამმართველოში მათთვის მიკუთვნებულ სფეროებს. ასრულებენ უფროსის ცალკეულ მითითებებსა და დავალებებს.

(აჭარის არ მთავრობის 2008 წლის 6 მარტის №12 დადგენილება)

მუხლი 5. სამმართველოს სისტემა

1. სამმართველოს სისტემას შეადგენს სამმართველოს სტრუქტურული ერთეულები და სამმართველოს ტერიტორიული ორგანოები

2. **სამმართველოს სტრუქტურული ერთეულებია:**

ა) სამმართველოს ადმინისტრაცია

ბ) საქმისწარმოების სამსახური

გ) ცენტრალური სახელმწიფო არქივი

(აჭარის არ მთავრობის 2008 წლის 6 მარტის №12 დადგენილება)

3. **სამმართველოს ტერიტორიული ორგანოებია:**

ა) ქობულეთის არქივი

ბ) ხელვაჩაურის არქივი

გ) ქედის არქივი

დ) შუახევის არქივი

ე) ხულოს არქივი

(აჭარის არ. მთავრობის 2009 წლის 3 თებერვლის №9 დადგენილება)

4. სამმართველოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები, ამოცანები, სტრუქტურა და საშტატო განრიგი განისაზღვრება სამმართველოს უფროსის ბრძანებით.

(აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის №113 დადგენილება)

5. სამმართველოს ტერიტორიული ორგანოების დებულება და სტრუქტურა მტკიცდება მთავრობის დადგენილებით, ხოლო საშტატო განრიგი-სამმართველოს უფროსის ბრძანებით.

(აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის №113 დადგენილება)

მუხლი 6. ამოღებულია

(აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის №113 დადგენილება)

მუხლი 7. დასკვნითი დებულებანი

1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით.

2. სამმართველოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი № 1 ამოღებულია

დანართი № 2 ამოღებულია

(აჭარის არ მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის № 113 დადგენილება)

